ადრესატი:

აკაკი გვიანიძე
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

წერილის ნომერი:**15-152218511**
თარიღი: **04/07/2022**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრს ბატონ აკაკი გვიანიძეს

ბატონო აკაკი,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული თქვენი (30.06.2022. N15-15221816) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილების 103-ე მუხლის შესაბამისად, სამ თვეში ერთხელ მაინც საკრებულო სხდომათა დარბაზში ატარებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მოსმენას (საკრებულოს „ღია კარის სხდომას").

აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ, როგორც თქვენთვის ცნობილია, ამჟამად საკრებულოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. შესაბამისად, ღია კარის სხდომის ჩატარება ლუკა ასათიანის სხდომათა დარბაზში ფაქტობრივი მიზეზების გამო ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება.

აქვე გაცნობებთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, როდესაც შესაძლებელი იქნება სხდომათა დარბაზში სხდომების ჩატარება, განხილულ იქნას თქვენი მოთხოვნა.

პატივისცემით,

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე